

28.03.2012

საქართველოს ეროვნული ბანკი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს უცვლელად, 6.5 პროცენტზე ტოვებს

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2012 წლის 28 მარტს მიიღო გადაწყვეტილება რეფინანსირების განაკვეთის უცვლელად დატოვების შესახებ. მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 6.5 პროცენტს შეადგენს.

წინა თვესთან შედარებით ინფლაციის პროგნოზი არ შეცვლილა. დღევანდელი გათვლებით, ინფლაციის წლიური მაჩვენებელი წლის პირველ ნახევარში, დაბალ ნიშნულზე შენარჩუნდება. ივნისიდან ინფლაცია დაიწყებს ზომიერ ზრდას და მოსალოდნელია, რომ მომავალი წლის დასაწყისში ინფლაცია მიზნობრივ მაჩვენებელს გაუტოლდეს.

თებერვალში ფასების წლიურმა ცვლილებამ -2.1 პროცენტი შეადგინა. ინფლაციის უარყოფითი მაჩვენებელი უმთავრესად საბაზო ეფექტით არის განპირობებული. საბაზო ინფლაცია (სურსათისა და ენერგომატარებლების გამოკლებით) ბოლო ორი წლის განმავლობაში ძირითადად სტაბილურია და თებერვალში 1.9 პროცენტს უტოლდება.

2011 წელს საქართველოს ეკონომიკის ზრდამ 7 პროცენტი შეადგინა, რაც წინასწარ მონაცემზე მაღალი მაჩვენებელია. მაღალი ზრდის მიუხედავად პოტენციური დონიდან გადახრა ნულის ტოლია, რაც მოთხოვნის მხრიდან ინფლაციური ზეწოლის არარსებობაზე მიუთითებს.

აღსანიშნავია, ბოლო პერიოდში ფულად ბაზარზე საპროცენტო განაკვეთების კლების ტენდენცია, რაც, ძირითადად, საბანკო სისტემაში დაგროვილი ჭარბი ლიკვიდობითაა გამოწვეული. დაბალი საპროცენტო განაკვეთები, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ბანკების საკრედიტო აქტივობისა და მთლიანად ეკონომიკური აქტივობის ზრდას.

ბოლო თვეებში შეჩერდა გასული წლის აგვისტოდან დაფიქსირებული რეალური გაცვლითი კურსის გამყარების ტენდენცია. ამ პროცესის ზომიერ ფარგლებში შენარჩუნება მნიშვნელოვანია ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდისთვის.

ფულად ბაზარზე საპროცენტო განაკვეთები სტაბილურია და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთზე დაბალია, რაც ეფექტურად პოლიტიკის შერბილებას გულისხმობს. აღნიშნულის გათვალისწინებით მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა მიზანშეწონილად არ ჩათვალა ამ ეტაპზე პოლიტიკის კიდევ უფრო შერბილება და პოლიტიკის განაკვეთის უცვლელად დატოვების გადაწყვეტილება მიიღო.

საქართველოს ეროვნული ბანკი მომავალშიც დააკვირდება მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებსა და საფინანსო ბაზრებს და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს.

მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შემდეგი სხდომა 2012 წლის 25 აპრილს გაიმართება.